





საქართველოს ელგომარეობა უმედეგ დაყოფისა. —

მუხრან-ბატონები ქართლის ტახტზე. —

ვანტანგ მეექვსე.

20141872

ადამიანი ეგუთნის საზოგადოებას. იმის აღზდას, მიმართულუ-
ბას და ცხოვრებას საგნად უნდა ქმნდეს საზოგადოების ინტერესი. ის
იმისთვის არ უნდა ჰყოფდეს არც თავისს ნიჭს, არც თავისს ქო-
ნებას, არც თვით სიფრცხლეს. თუ მომატებულს ნაწილს საღისისს ეს
საგანი ესმის და იმის გავლენას ქვეშ მოქმედებს უოკელთვის, მაშინ
საზოგადოება მტკიცედ დამყარებულია და შეძლება კეთილ-დღეობის და
წარმატების გზასკად დგას. თუ არა, თუ იმათ თავიანთ ცხოვრებაში
საგნად აქვთ საკუთარი ინტერესი, წინააღმდეგი საზოგადოების მოთ-
ხოვნილებისა, მაშინ საზოგადოების წევრნი არიან სუსტი და თვით
საზოგადოების კავშირი დაწყებულია. ეს ასეა და ასეც უნდა იყოს.
ადამიანი უოკელს ცხოველს ქმნულებაში იმითა განსხვავებული, რომ
ბუნებას ის შეუძვია გონებით; იმისი გონება ამყარებს ადამიანის მო-
დებას საზოგადოებად — და საზოგადოება მაშინ აღსრულებს თავისს
მნიშვნელობას, როდესაც იმისნი წევრნი იმას წარმატების გზასკად აყუ-
ნებენ, ამ ნიჭს მოკლებულნი არიან დანაშთენნი ქმნულებანი; ამისთვის
საც ისინი ცხოვრობენ გაცალკევებით, მისდევენ მხოლოდ თავისს გუ-
ლის წადილს, ინსტინქტურს მოთხოვნილებას. როდესაც ადამიანი სა-

კუთარს ინტერესს და გულის-წადილს უქვემდებარებს საზოგადოების მოთხოვნილებას და სარგებლობას, მაშინ ის ემსგავსება დაბალს ქმნულებას, მაშინ იმისი გონება დასშუღია, იმისი ზნეობა დაცემულია, იმისი ცხოვრება ზიარტუკველია. ასე მიმდინარეობს ის მთელს თავისს ცხოვრებაში; იმისს მაგალითს მისდევს იმისი შთამომავლობა. დრო გადის. საკუთარი ინტერესის მსახურება მთელს ნათესაობას ბუნებად ეთვისება; ამისგანმომ საზოგადოება ისეა შესუსტებული და შეწყვეული, რომ ორი-სამი გარკვეანი თუ შინაგანი შეჭირვება ამხობს და აწლებს იმას. ამგვარი იყო ძველად ადამიანის ნათესავის მომდინარეობა და სკვ. ჟერ ცნობილი საუკუნე არ გასულა ქრისტეს შობის შემდეგ და მოიგონეთ, ამ დროში რამდენი სამეფო იშვა, აღეკავდა და ჩაიშალა. რა იყო ამისი მიზეზი? ძველად ამ სამეფოთაგანი იყო შვიდროდ დასახლებული ერთის ტომ-ნათესავისაგან; გარკვეანის მტრისაგან იმას იცავდა ბუნებითი ადგილ-მდებარება, შინაურის განსაცდელი-საგან—მტრიცე წესდებაები. მაგრამ ვერც ერთი, ვერც მეორე ვერ ამეკედნენ შებას საზოგადოებას. სხვა და სხვა მიზეზს უჩვენებენ ამ გარის შემთხვევისას. მაგრამ უმთავრესი მიზეზი ერთი და იგივე იყო: იმისს წევრთაგან საზოგადოების ნამდვილის სარგებლობის წინააღმდეგი მოქმედება და ამისგანმომ საზოგადოების გაკვირის შესუსტება.

ყოველსავე, რასაც აქ ვამბობთ, ცხადად კვიმტვიცებს ჩვენნივე ინტერესია. რა აკლდა საქართველოს, რომ ის მუდამ წარმატებაში უფილიყო? საქართველოს ჰსაზღვრავდა ბუნებით და ხელაგებით გამაგრებული ზღუდეები; იმათი ხელაგები და მთის გზები ჩვენ წინა-შართ ხელში ეპყრათ; როდესაც სურდათ გააღებდნენ, როდესაც სურდათ დასშვიდნენ. მტრის შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში ძნელი იყო. შავის ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები იმათ მოვლამებლობაშივე იყო და აქ აღებ-მიცემობით იმათ შექმლათ დიდი სიმდიდრე შექმინათ. საქართველოს

ადგილ-მამული შემოღობილი იყო უხვად ყოველ-გვარის ჭკვით. ის აწარმოებდა ისეთს მცენარეებს, რომელნიც იპოებიან მხოლოდ სსკა და სსკა სამსრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში შეერთებით. ქართული ერთი შეადგენდა მჭიდროდ დასასლებულს, ერთი-ერთმანეთზე დამოკიდებულს ტომს, კაკასნიის ქედისამ მყოფლებული ვიდრე შავ-ზღვამდე. ქართველი იყვნენ მინიჭებულნი წარმატების მიმცემის ნიჭიერებით, ხასიათის ძალით და მსნეობით. თვით იმათს ახალს სარწმუნოებას, რომელიც საქართველოში შემოტანილი იყო მეოთხეს საუკუნეში წმინდა ნინოსაგან და რომელსაც საგნად ქქონდა საზოგადოების წევრთ ურთი-ერთი სიყვარული და მაშასადამე იმათის ზნეობის და ყოფა-ცხოვრების წარმატება, ამ სარწმუნოებას სამუდამოდ უნდა დაეკავშირებინა ქართველი ტომი, უნდა დაეკავშირებინა უფრო ამიტომ, რომ იმას გარეშემო ესვივნენ დაუძინებელნი ქრისტეს სჯულის მტერნი, ცუცხლის-თაყვანის-მცემელნი და მამადაინანი. მართლად და ვიდრე ჩვენ ტომში დაისმოდა საზოგადო გრძნობა, ვიდრე ჩვენნი წინა-პარნი ერთობას მსასურობდნენ, ისინი ყოფილან ძლიერნი, ძლიერნი შინათ და გარეთ. მამულის შემუშავება, მეურნეობა, ტენიერები სელოვნება, გავრცელებული თურმე იყო მთელს მსარეში. ჩვენ ვკვდავთ ახლაც მრავალს ნაშთს არსებისას, კლდეებში საურმე გზებისას, მთებში და უდაბურს ადგილებში კენახებისას, სახასლებებისას და ეკვლესიებისას. სსკა არა იყოსრა ძველი ეკვლესიების მშვენიერი სსკა და სსკა მრავალ-გვარი არსიტიკტური სელოვნება ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენნი წინა-პარნი რდესმე დიად მადლად მდგარან ცოდნით და შრომის-მოყვარეობით. ისინი გონებით გასწილნი და მეტნიერების მიმყოფნი ყოფილან. შინ იმათ სასწავლებლებად ქქონიათ მონასტრები, გარეთ უმადლების სწავლის მისაღებათ—საბერძნული და თვით იტალია. ქართველებმა დასტოვეს შესანიშნავი გონების ნაწარმოები, რომელიც შე-

ცავს პოეზიას, საეროსა და სამღვდელთა ლიტურატიურას, ნამდვილ ქართულს და სსკა და სსკა ენებიდამ გადმოცემულს. იმათ ისე შეუმუშავებიათ თავისი ენა, რომ თუმცა ის ახლად ჩვენთვის დაკარგულია, მაგრამ იმას შეუძლიან თითქმის ყოველივე სამეცნიერო საგანი შეითავისოს და შეიმუშავოს. რა დრო იყო ის დრო? ის ის დრო იყო, როდესაც საქართველოში ჭეკადი ერთობა, ესე იგი, მკათე, მეთოდმეტე და მეთოდმეტე საუკუნე. მაშინ ჩვენი ტომი რიცხვით დიად თუქმე მატულობდა და იზდებოდა, ასე რომ იმას გზურად ადგილები, რომელნიც ახლად ან გაკარანებულნი არიან, ან უცნო ტომთა უჭირავთ. მაშინ უცნო-სამეფოთაგან საქართველო პატრიარქული იყო და აზიასში შემძლე სამეფოებულად ირიცხებოდა. მტერი ან ვერ ჭებდავდა იმასთან შებრძოლებას, ან სძირად იძლეოდა. ეს წესი რომ შემდეგ არ შეწყვეტილიყო, უეჭველია, ქართველი ტომი ერთის მხრით მოიფინებოდა კავკასიის აქეთ და იქით კასპიის ზღვამდე, მეორეს მხრით გაერთილდებოდა მთელს მცირე-აზიასში, სპარსეთის საზღვრამდე. მაგრამ ზარბუძოდა, შემდეგ შინაურმა განსუთქილობამ, საზოგადო ინტერესის წინააღმდეგობა მოქმედებამ, ექვსის საუკუნის განმავლობაში შემდინარსაღნი, ამოჭკვეთა საზოგადოებისა და მამულის ნამდვილი სიყვარული, დამხროზნობა და დაარღვია ყოველივე შინაური კავშირი. წარმოიდგინეთ რას ვხედავთ? შიკველად მონგოლები, რუსუდანიის დროს მცემეტეს საუკუნეში საღნიის შესასუსტებლად საქართველოს ორ სამეფოდ ჭეკოფუნ. მასუგან იმათის მიბაძვით ქართველები თვითონვე ჭეკეფუნ თავიანთ-თავს რამდენსამე სამეფოდ და სამთავროთ. ვასეშტი ამბობს მეთხუთმეტის საუკუნის გასვლის აღწერაში: „და იქმნა მიერ ჟამიღვანსამეფოსა განსუთქილება სამად, რამეთუ ერთი მეფე დაჰქდა იმერეთს, ერთი ვასეთს, ერთი ქართლს და არცაღა თუ ამას აკმაქეს, რამედ განდგენ თვის-თვისად მთავარნი. ათაბაგმან დაიხურა საათაბაგო, ასე

სამცხე-კლარჯეთი, კვლად იმერთთაგან განდგნენ დადანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანნი; და ამათ დაიპყრეს სასლვარნი თვისნი და ვიდრე აწამდე არღარ იქმნა შეკრება მისი, არამედ კვლადღა უფროსდა დაკნინებანი» 1) კონსტანტინე ქართლის მეფემ განიზრახა შემოკრება საქართველთა, მაგრამ ვასუშტის თქმითვე, «დიდებულნი ეტეოდნენ, განადგან მტკიცედ დგანან ერთგულობასსაყდა თვისთა მეფეთათა იქონი და კასნი, და კვლად ათაბაგისა სამცხენი, ამისთვის არა განგიზრახსათო ბრძოლასა, რამეთუ თუმა მრე ვეჟმნეთ ერთსა, არღარა მოკვცემს მეორე ნებასა, არამედ ვცადათ ყაძი 2)». ეს ყაძი არაოდეს აღარ დაბრუნებულა და, რაღა ეჭვი უნდა, თავისს თავად არც დაბრუნებულა.

აქედამ სჩანს, რა გვარ დაეცა თამარის შემდეგ ორასის წლისა ჩვენი ქვეყანა. ვუჩვენათ, რა მდგომარეობაშია საქართველო მეოსურთ-მეტის საუკუნეიდან. ეს საგანი დიად ღირს-შესანიშნავია არათუ ჩვენთვის, არამედ მთელის მსოფლიო ისტორიისთვის. ჩვენ ვსედავთ, რომ მამა-პაპის ბრალი და შეცოდება იმისს შთამომავლობას სდევნის და ჭსჯის, თუ ეს შთამომავლობა არა გრძნობს ამ შეცდომას და ღონის ძიებას არ ეძებს, რომ ის თავიდან აიცილოს. რომ საქართველოს უბედურების მიზეზნი ჩვენი წინა-პარნი იყვნენ, ეს ცხადია. რომ იმართნი შეიღნი ვერ მიჭსვდნენ ამ მიზეზს, ესეც ცხადია. ჩვენს მეფეებს ში ზოგნი შემძლენი იყვნენ; იმათ შემთხვევა სელში აძლედა თითქმის მთელს საქართველოს. იმათ შეეძლათ მთელი ტომი შემოკრებათ. იმაზე იყო დამოკიდებული შინაური კავშირი, საზოგადო ინტერესის შემტეობა და ძალა. საუბედოდ, ისინი თვითონვე უარს-ჭყოფდნენ ღონის-ძიების მოხმარებას. როგორც დაკარგვიოთა შეკლადვე

1) Hist. de la Geor. II, livr. I, p. 11.

2) Ibid. p. 16.

დასკნილი წესი, როგორ უმუხთლოთო ამა და ამ სასლის შვილს, მეფეს თუ მთავარს, რომელიც ნათესაობით არის ჩვენთან შეკავშირებული. აი როგორ თქვამდნენ ისინი. ამ წესს, ანუ უკედვით, უკიდურესს უწესებებს, ესმარებოდნენ თურქნი და სპარსნი. იმათი სარგებლობა მოითხოვდა, რომ ქართველნი მუდამ გაცალკეებულნი და ერთი-მეორის მტრნი ყოფილიყვნენ. საქართველს გარემოება ისეც მომდინარეობდა, როგორც იმათ ჭსურდათ. ისინი თვით ნათესაობის დამკვიდრებლობასაც აშოგობებდნენ. იმათ დაბადეს დაუძინებელი მტრობა და ბრძოლა მეფისა მეფესთან და მთავართან, მთავრისა მთავართან და მეფესთან. იმათ ჭბამავდნენ თავადნი და აზნაურნი. თვით სამადგდლონი და დაბალი სალსი იმათ პარტიებად იყვნენ დაგლეჯილნი. ისე მსარე არეულა, რომ სან და სან თქვენ არ შეგიძლიანთ შექნისნათ, ვინ არის მეფე, ვინ არის მთავარი. მთავარი იმონავებს და სტუენავს მეფეს, მეფე მთავარს. თვითეული თავისს თავისთვის ცდილობს, ყოველს დონის-ძიებს სმაროს, რომ თავისი გულის-წადილი აღსრულებაში მოიყვანოს. აი ერთი გარემოება, ისეთი გარემოება, რომელიც იშვიათი არ იყო ჩვენში. მეუქვსმეტის საუკუნის გასულს ქართლში მეფობდა ლუარსაბის ძე სვიმონი. იმას ჭყვანდა ძმა დავითი. დავითმა თვითონ მოინდომა მეფობა; ის წავიდა სპარსეთში, დაუკრა თავი შაჰ-თამაზს, მიიღო მამადიანობა, დაიჩქვა სასელად დაუდ-ხანი და დაბრუნდა სელწითედ სპარსეთის ჯარით. ასტუდა ძმებში განსეთქილება და შეუწევტელი ბრძოლა. ახე ადვილ საქმედ მიაჩნდათ ჩვენ წინა-პართ სისსლის-ღვრა, რომ ურალა შური, ურალა შემთხვევა ჭბადავდა ერთი-მეორის ყლეტას. 1539 წელს ლუარსაბ ბიჩველი და მესხნი ბაზიანში შეებენ ოსმალებს, რომელთაც ეჭირათ სამცხე. მამინ-ამობს ჩვენი მატთანე—მესხნი იტყოდნენ, ჩვენ ვართ წინა-მბრძოლნი ძელადვე და აწცა ქვეყანა არს ჩვენი და ჩვენადვე ჯერ-არსო.

აწამედ არა ინებეს ქართველთა. ამისთვის შურო იმიეს მესხთა და არ-
ღარა შეეწოდნენ მათ და მოწყდნენ ქართველნი მრავალნი და ივლ-
ტოდნენ მესხნი, და ამით იძლიებენ ქართველნი მრავალნი 1)».

ამ მდგომარეობაში ოსმალნი და სპარსნი უშიშრად შემოდო-
დნენ საქართველოში და თავის უფლად ბმანებლობდნენ. იმათი წინა-
აღმდეგი არავინ იყო. ისინი მხოლოდ ერთი-მეორის შიშში იყვნენ და
უფრო ერთი მეორეს ებძობდნენ. ქართველნი ჰკეკმაკდნენ ზოგნი ოს-
მალებს, ზოგნი სპარსებს, და თავისს მხარეს თვითონვე აღსრულებდნენ.
რამდენჯერ შემოსულან ოსმალნი და სპარსნი ჩვენში, რამდენჯერ აუ-
კლიათ იმათ საქართველო, რამდენჯერ ამოიწავათ იმათ თვით თბილი-
სი, ამისი თქმა ჩვენ გვეძინელება. ოსმალები ჭყოფდნენ საქართველოს
ფაშალიკებად და ხანჯაკებად, სპარსები—საბეგლარბეგოდ და სახანო-
ებად. ოსმალების გავლენა და ძალა უფრო სამცხეში და იმერეთში
მოქმედებდა, სპარსებისა—უფრო ქართლში და კასეთში. მუსულმანის
სარწმუნოება აღრევე შემოვიდა ჩვენში. საათაბაგო თითქმის მთლად
გამაჭმადიანდა. ქართლ-კასეთში ის პირველად აღიარეს მეფეებმა დაუთ-
ხანის დროდამ, მასუგან გაგრცელდა თავად-აზნაურებში. დროს გან-
მავლობაში აქ ისეთი წესი დაიდო, რომ არც ერთს შეეკან არ შეე-
ძლო ტასტზე ასვლა, თუ გარეგან მანც არ აღიარებდა ისლამს და
თვით სპარსეთში არ ეახლებოდა შაჰს. სპარსეთიდან ის შემოდოდა
მეფედ სპარსის ჯარით, რომელიც აქვე მყარდებოდა. ეს ჯარი იჭერ-
და ცისე-სიმაგრეებს და ბმანებლობდა ქალაქებს და სოფლებს. ვასუშტის
თქმით, ერეკლეს დროს, მეჩვიდმეტის საუკუნის განულს, «ყიზილბა-
შნი მტველნი თბილისის ცისისანი ჰკვლიდნენ და წარუხმიდნენ კაცთა
ცოლ შვილთა, სხვათა ჰყიდნენ, და ჭირისა ამისთვის განდაშენდებო-
დნენ ქართლისა ტლესნი და აზნაურნი კასეთს 2)». გიორგი მეფე-

1) Ibid. p. 28.

2) Ibid. p. 29.

თმეტის დროს, იგივე ვასუშტი იტყვის: «იზარკიდიან სილადითა მც-
კულნი ცისის თათარნი თბილისისნი, გორისა და სურამისა ტყვეთა
და ჭყიდან, და შეკრათ ქართველთაც განსვიდავ ტყვეთა და იცვალე-
ბოდცა ქვეყანანი ქართლისანი, და იქცეოდნენ უმეტეს უიზილბაშ-
თა ზნე წესითა და ყოველითა უწესობითა ქრისტიანულსითა ცოდვი-
თურთ 1)». ტყვედ მიჭყვანდით რამდენს იმეკეთიდაძ, სპარსებს ქარ-
თლ-კასეთიდაძ. მარტო შაჰ-აბასის დროს ჩვენი მატარნე უჩვენებს ერთს
იმისს შემოსვლაში ტყვედ გაყვანილს 80 ათასს სულს, თანა-მედრო-
ენი უცხო-ტომთ მწერალნი სომეხნი არაქელ თავრიშელი და მუსულ-
მანი ისკანდერ-მუჟი ადგილობრივ კასეთში ამოხეცილთ გარდა, რა-
მელნიც შეადგენდნენ 60-70 ათასს სულს, სპარსეთს გადასახლებულთ
რიცხვს უჩვენებენ 100 ათასზე მეტს. იმათ მაგიერ შაჰ-აბასმა კასეთს
ადებრივნიდაძ 150-ათასი ვამლი თათარი თურქე დაასახლა 2). ფრან-
ცუზის მწერალი შარდენი, რომელსაც მე XVII საუკუნეს საქართველოში და
სპარსეთში უმეტესად იტყვის: «სპარსეთის სისხლი ასლად დიდად გამშვე-
ნიერდა, რადგანაც იმას ქართული და ჩერქესული სისხლი შემოე-
რია; ქართველნი და ჩერქესნი შეადგენენ უკეთესს ნათესაობას ქვე-
ყანაზე აკებულობით და მსნეობით; სპარსეთში არც ერთი წარჩინებუ-
ლი პირი არ არის, რომ ან ქართველი, ან ჩერქესი დედათ არა ჭყვან-
დეს, თვით მეფედაძ მოყოლებული, რომელიც დედის მხრით, უე-
ჭველად, ან ქართველი, ან ჩერქესია 3). იმ დროებში უკეთესი ჩვე-
ნი უმაწვილ-ქალობა და უმაწვილ-კაცობა სპარსეთს გადიოდა ან სპარ-
სების სისხლის გასამშვენიერებლად საზოგადოდ 4), ან საბრძოლვე-

1) Ibid. p. 97.

2) Addit. IV, 421—445; V, 445—509.

3) Chardin, Voyage, en Perse, III, p. 403—404.

4) Ibid. IV, 69.

ლად სპარსეთის მოსახლეობა მტრებთან. იქ თვით ჩვენის სამეფო სახლის წევრთ და კეთილ-შობილებას განგებ ამლეკდნენ უმადლესს სამსედრო და სამოქალაქო მოხელეობას, რომ სპარსეთი შეეთვისებინათ იმათთვის, რადგან შაჰების განზრახვა იყო რადესმე მთელი ქართლ-კახეთი იქვე გადაესახლებინათ.

მეჩვიდმეტის საუკუნის დამდეგ, შაჰ-აბასის დროდამ, რსმალების და სპარსების გარდა, საქართველოს სხვა მტერიც გამოუჩნდა. 1616 წელს შაჰ-აბასმა შეუთვალა ლეკებს. ამ მსურსო კახეთი ამოვწვიტოო; დასოცეთ და დაატყვევეთო, ვინც კი იქიდამ თქვენს მეზობლად მთებში ამოვიდესო. ლეკები ამ რჩევას შეუდგნენ. თავდა შიკველად იმათ შესწესეს გაღმა-მხარი. მრავალი იმათგანი დასასლდა ჭარში, ბელაქანში და ასლო-მასლო. აღასანზე დასდვეს ბინა აწიესელებმა, თებელებმა და ყირსის მცხოვრებთა... იმათ დაიწვეს დიდის პარტიებით ტანტალი; ისინი მოეფინებოდნენ კახეთში, სომხეთში, ქართლში. მთელი დალესტანი ფესზე იდგა და უბედურს ჩვენს მხარეს სცემდა. ისინი ჩამოიკრიფებოდნენ წახურდამ ელისურზე, სუღილიდამ ყუბზე, უაშსანიდამ ნურზე, მისილდასიდამ ბელაქანზე. თავისუფალი მისვლა-მოსვლა საქართველოში გამხელდა. მთა, ბარი, ტყე, გზა, ქალაქების და სოფლების არე-მარე დაჭერილი იყო მტრისაგან. იმათ ქვეყანდათ ბელადები, რომელთაც უოკელივე ადგილები დაწვრილებით იცოდნენ. თვით უუნდასის მთავირი, ავარიის ხანი, დიდის ჯარით ხან აქ სცემდა, ხან იქ. ამ საგანზე ჩვენ გვაქვს შესანიშნავი დოკუმენტები, რომელნიც XVII გასულს და XVIII საუკ. დამდეგს შეესებინა. ეს არის იმამ-ყული-ხანის და თეიმურაზის წერილები სპარსეთში ქუსეინ-ყული-ხანთან, ანუ ვასტანგ VI, რომელიც იმ დროს ირანის სპასალარად და ადმბიჯანის ბეგლარ-ბეგად იყო. ამ წიგნებში გარკვევით და სულის აღმაშოროთებლის დაწვრილებით არის გამოხატული კახეთის ბედ გრუ-

ლი სკე, იმისი განწირული მდგომარეობა, ლეკების მიწინააღმდეგობა და სი-
სხლის სმა. იმამ-უფლი ხანი და თეიმურაზ ეკედრებიან ვასტანგს, რომ
იმან მფარველობა და შემწეობა გამოხატოს სხარსეთის შაჰს. აი
რამდენიმე სიტყვა ამ წერილებიდან. «ჩვენ მუდამ დღე მასვილ ქვეშა
კართ; ლეკების ძალა უფრო და უფრო მატულობს; არც ერთი კუ-
თსე არ დარჩა, რომ სისხლი არ იღვრებოდეს. თუ თქვენი შეცდი-
ნობა და მეორეა შიკვას არ მოგვემს, ჩვენი საქმე წასულია, ჩვენს
მხარეს აღარა იმედი არა აქვს... აქამოდე ჩვენ გვებძოდნენ მარტო
ჭარქენი, თალაღნი და შირ-იქითნი ლეკნი; ასლა გულსადაცას ვარკ-
ბიც შემოგვესა, დაღისტელებს ბინა შირ-იქეთელს ლეკებთან აქვთ
და იმათ მიიშრეს ყაზალი, შაქი და სსვ. ასლა ჩვენი მტრები გავაზში
დგანან... გავაზელებთან და გაღმა მხრის სოფლებთან იმათ მოლაპა-
რაკება დაიწყო: შაჰის შემწეობას ნუ მოელოთ, შაჰის ჯარი დამარ-
ცდალ, სჯობს ჩვენ მოგვემსროთ... თქვენ იცით, რომ გლეხს მო-
კლე ჭკუა აქვს, და ის მხოლოდ იმას იჯერებს, რასაც თვალით ქსე-
დავს. იმათ მიიღეს მტრის რჩევა და თავიანთს მხარეს ბრძოლა აუ-
ტესეს. არათუ გლეხნი, ზოგნი თავადნიც იმათ მიეკრძნენ. თუ ამ
სათხუელს არას გვიშეგლით, დანაშთენი ვასეთიც გადადგება და ვაი
ადრახბივსსაც და გარკვე ადგილებსაც...» შემდეგ ამ წერილებში ვკით-
ხულობთ, რომ შიგნით-ვასეთი ლეკების მხარეს გადავიდა 1). რა
ძალი ჩვენი ტომის ხალხი სსვა და სსვა დრახ გადაუსასლებით ლე-
კებს დაღესტანში, ჩვენ ამხე ცნობა არა გვაქვს. თუ მოვიგონებთ,
რამოდენა ადგილებია ქართლ-ვასეთში გაუკრახებულნი, რამოდენა სო-
ფელია დაცლილი, მაშინ ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს, რომ მრავალი
ხალხი ამოუწევატიათ და დაუტყვევებიათ ლეკებს. საქათლის მხარე-
ში უამბნათ ჩვენთვის, სად და სად ცხოვრობს აქამოდე დაღესტანში

გაღვივებული ქართველობა. ეს ადგილები თურმე არის: ჯინიგა, სუა-
გილი, წოსური, გილ-მიწი, მუსლაგა, საგი, ქერდულა, შეგურა, მი-
შილიძე, ესგილა, ქათაკულე, სერნა, მიქიქა. მოსლავის მთებში კვ-
ლესიებიც თურმე არის აქამოდე. თვითონვე იტყვიან ისინი თავიანთს
ქართულს შთამომავლობას. სოგიერთს იმათგანს ძველი ქართული წი-
გნებიც თურმე აქეთ აქამოდე.

ეს იყო საქართველოს მდგომარეობა, რომელსაც ქართლის ტარ-
ტი მუსრან-ბატონის სასლმა დაიჭირა. მუსრან-ბატონები შეადგენდნენ
სტოას კონსტანტინესას, რომლის დროსაც საქართველო სამეფოდ
სამ სამეფოდ და სუთ სამთავროდ დაიგლეჯა. კონსტანტინეს შვილის
დავით მეფის ძმამ ბაგრატმა, გასუპტის სიტყვით, «გამოსთხოვა და-
ვით მუსრანი საუფლის-წულად და არაგვისა და ქსნის-სკენი მთიულ-
მარკეითურთ, თვისსა მოწილებასა ქვეშე, რომელიცა არს მიერიდვან
ერთ ხაზასხეტოდ ანუ სადროშოდ». ბაგრატის შემდეგ მუსრანის სა-
უფლის-წულას განაგებდა უფროსი შვილი ანუ ძმა. მუსრან ბატონებმა
აღმოაჩინეს დიდი მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურს მდგო-
მარეობაში: ისინი ებრძოდნენ სპარსებსაც, რომლებსაც. იმათში გან-
საკუთრებით ჩვენის ყურადღების დიწხნი არიან: თეიმურაძის ძე გას-
ტანგ მუსუო, რომელიც იშვილა უშვილო ქართლის მეფემ რომსტომმა
და იმის შემდეგ 1658 წ. მეფედ დაჯდა. გასტანგის შვილებში ცნო-
ბილნი არიან: გიორგი XI, გასტანგის შემკვიდრე, არჩილი დიად
მოქმედი პირი და მწერალი, აგრეთვე ლეკანი, გასტანგ მეექვსის ძმა,
რომელსაც მუსრან-ბატონებმა ქართლი დაიჭირეს, საქართველო შემდი-
რებული ქვეყანა იყო. საათაბაგო ჩვენ აღარ გვეყუთნოდა. ის მოგვ-
გლეჯეს რომლებმა და ფაშალიყად დასდეს; აქ იმათ ათაბაგის ძაგერ
ფაშა დასვეს; თავიანთი წესი და ყოფა-ცხოვრება შემოიტანეს; თავიან-
თი სჯული და ენა დაამყარეს. იმერეთი სანუგეშოს არას წარმოგვიდ-

გენს: იმერნი ეპროდენენ ერთი მეორეს და ოსმალებს, რომელნიც ცდილობდნენ ისინი ისე დაემონავებინათ, როგორც მესხნი დაიმონავენ. ვასეთი დიდად მისუსტებული იყო. ვასეთიდან დიდძალი სალსი გადასასლეს სწავსებმა მასანდარსანს და სორასანს; და იმათ მაგიერ აქ დასასლეს თათრები. თუმცა ვასეთს საკუთარი შეფეები ჰყვანდა, მაგრამ იმს ნამდვილ განაკებდნენ უყენთაგან დადგენილი სანები, რომელნიც უაქლავში იხსდნენ და დაუბრკოლებლივ ბძანებლობდნენ, როგორც იმათი გულის-წადილი და სწავსეთის შეფეები მითოსოვდნენ. ქართლიც არ იყო უკეთეს მდგომარეობაში. მართალია აქ ქართველი წეს-დება ისევე ჰსუფუვდა, მაგრამ ისიც უკან და უკან მიდიოდა. აქ როსტომ მეფის დროდამ სწავსეთის ზნემ და ჩვეულებამ ცოტ-ცოტად იწყო თვისი მოქმედება. უმთავრესი ქართლის ცისე-სიმაგრეები, იმათ შორის მეტესი თფილისში სწავსების სელში ჩაცვივდნენ. შეფეებს ტახტზედ ასვლის ნებას უყენები იმ პირობით აძლევდნენ, თუ ისინი მაჰმადის აღსარებას აღიარებდნენ. ამ ბედ-კრულმა მდგომარეობამ დასდო საფუძველი საქართველოს გაკშირისა თანა-მოაწმუნე რუსეთთან. უკმაყოფილნი, დევნილნი შერით თუ საქმის გარემოებით ზოგნი მალაღ დადგენილნი საქართველოს შვილნი მიივლტოდნენ რუსეთს, იქ ეძებდნენ ნუკემს და შემწეობას. დასაწყისი საქართველოს დამოკიდებულობისა რუსეთთან პირველად აღმოჩნდა XVII საუკუნის დამდეგს, როდესაც სწავსეთს ბძანებლობდა მძვინვარე შაჰ-აბასი და რუსეთს მეფე გოდუნოვი. ზოგნი რუსეთს მთელის ოჯახობით გადიოდნენ. დადიანი ფამეის სასლობამ სამეგრელო სრულებით დასტოვა და რუსეთში დასახლდა. ირაკლი, შემდეგ ვასეთის მეფე, იქვე ცხოვრობდა და იზდებოდა. ვასტან მესუთის შვილმა აჩჩილმა იქვე დასარულს თავისი აღევლებული ცხოვრება. რუსეთში ვაზოვლობთ ვასტანგ მეექვსის ძმას დომენტის, შემდეგ საქართველოს კათალიკოსს. რუსეთის გავ-

დენს საქართველოზე ისე გაძლიერდა, რომ, როგორც ამას მაშინდელი მწერალი ვრუშინისკი ამბობს, უკენი დიდად თურქე შეიშობდა, რომ ვასტანგ მეექვსისაგან ლეკების ძლიერით რუსეთს არ მისცემიყო შემთხვევა შემოსვლისა სპარსეთის ჩრდილოდ. აქ უნდა მოვიხსენიოთ ორი ღირს სასწავარი ფაქტი, რომელიც მუსრან-ბატონების დროს შეესება. პირველია ომის მისსიონერების შემოსვლა ჩვენში, მეორეა ქართველების შტამა სალიტერატურა სპარსულზე. ომის მისსიონერები, რომელთაც კათოლიკის აღსარება დაუმყარებიათ თბილისში, გორში, ქუთაისში და ახალციხეში, პირველად შემოსულან საქართველოში მე XVII საუკ. დამდეგს. მისსიონერები ყოფილად დასელფენებული მკურნალები და სიჩუტები და ამისგან იხინი დიდის პატივით შეუწყნარებიათ. შარდენის სიტყვით, დადიანს მიუღია თეატონები 1627 წელს 1). ქართლში ვასტანგ მესუთეს კაპუტინები დაუსახლებია თბილისში და გორში, სადაც ნება მიუცია კათოლიკის აღსარების გავრცელებისა 2). ქაიხოსრო ვასტანგ მეექვსის ძმას, ვრუშინისკის თქმით, უკვად დაუჯილდობია მისსიონერები თბილისში, გორში, თავრიზში და განჯაში; ქაიხოსროს ქირმანში ორი კაპუტინი თურქე დაქვევებოდა, და თვით კათოლიკის სარწმუნოებაში თურქე აღესრულა 3). ვასტანგ მეექვსეს გამოუთხოვინია ფრანცის კარდლისთვის ლუდოვიკ XIV სთვის სხვა მისსიონერებიც, რომელნიც 1715 წელს საბა ობელიანს მოჰქელოდინ 4). მისსიონერებს უსწავლათ ქართული ენა და სასწავლებლები დაუწესებიათ. იმათ შორის ზოგნი შესდგენიან ქართლის ენის გამოკვლევას და საქართველოს აღწერას, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ.

1) Uoyage de Chev. Chard, en Perse I, p. 354.

2) Ibid. II, p. 83.

3) Hist. de la Géor. t. II. livr. 1' p. 108 n. I.

4) Ibid. p. 109 n. 2.

მისიონერების გავლენას უნდა მივაწეროთ ჩვენ ის შემთხვევა, რომ საქართველოში აღმოჩენილა ლიტერატურის მოძრაობა: სტამბის დაფუძნება, საღმთო წიგნების ბეჭდვა და თვით ასალი მწერლობა. რომელი დროს მკავალნი ქართველნი ერთისა და იმავე ხელით იბრძოდნენ და სწოდნენ კიდეც. ეს შემთხვევა თუმიცა დიდად განსაზღვრია, მაგრამ უკველია. კასეთის მეფეს თეიმურაზს მეორეს, ვახტანგ მეექვსის სიძეს უთარგმნია სპარსულიად ქართულად ლექსებით სამიჯნურთა თხზულება «ასეთ და ზილისა», საიდაცა შემდეგ იმასვე შეუდგენია «გარდბუღბუღიანი». აჩილ მეფეს ანუ შაჰ-ნავაზ-ხანს დაუწერია «აჩილიანი», რომელიც თეიმურაზის ცხოვრებას წარმოგვიდგენს. ერთი ნაწილი «აჩილიანისა» იმას შეუდგენია ოსეთში, მეორე—ასტრახანში. გარდა ამისა ჩვენამდე მოუღწევია სხვა სალიტერატურო შრომასაც: გურამი შვილის ლექსებს, სესნია წყიძის და ფაჩხაღან გიორგიჯანიძის ისტორიულს მოთხრობას და მუსულმანის სჯულ-დებას, რომელიც ფაჩხაღანს ოსეთში მიხედვით სპარსეთში უთარგმნია და აგრეთვე შაჰ-მადის სჯულს, რომელიც შაჰ-აბაზის ბძანებით იმასვე აჩაბიტანში აჩაბულიად ქართულად გადამოუღია. ვახტანგ მეექვსის ბიძას საბა ორბელიანს სხვათა შორის შეუდგენია «სიბრძნე-სიტყვის» წიგნი და პირველი ლექსიკონი, რომელიც ჩვენ ყოველთათვის დიად ცნობილია. აქ უნდა დაურთოთ, რომ ანტ ერთს ქართველს, ანტ უწინ, ანტ შემდეგ ლიტერატურის ანპარკზსე ისეთი ღვაწლი ან დაუღვია, რა ღვაწლიც დასდეს თვით ვახტანგ მეექვსემ და იმისმა შვილმა ვახუშტმა. ამ საგანზე თავისს ადგილს ვიტყვი.

ვახტანგ მეექვსე იშვა 1675 წელს, იმ დროს, როდესაც იმისი ბიძა გიორგი XI ანუ შაჰ-ნავაზ მეორე ქართლის ტახტზე დაჯდა. მამა ვახტანგისა ღელნი ორჯულ იყო დაქორწინებული: პირველ ცოლთან, გურიალის ქალთან თუთასთან, იმას ჰყვანდა სამი ვაჟი: ქაიხოსრო,

ვასტანგი და დომენტი, და ერთი ქალი სვამრძე; მეორე ცოლთან, გიორგი ავალი-შვილის ქალთან თინათინთან ჭეჟანდა დასე, სვიმონი და თეიმურაზი. რადგანაც ლევანის და იმისის მონათესავეების მოქმედება ქართლში და კასეთის ხანთან შაჰ-აბასის შვილის შაჰ-სულეიმანის წინააღმდეგი საქმე იყო, ამისთვის იმან გიორგი შეიფეს მოხსოვრა, რომ ისინი სპარსეთს გაესტუმრებინა. ლევანი, იმისი ბიძა ლუაწასაბი და გიორგის ძე ბაგრატო ბძანებას დაჰმორჩნილდნენ — და ყეენის სამთელაბულაში ჩავიდნენ. შაჰ-სულეიმანმა ლევანი და ბაგრატო ჭეჩათში დაატყვევა. ლუაწასაბი ქირმანს გაგზავნა. ყეენმა თვით გიორგიც თავისთან მიიწვია და ქართლი მიანდო კას-ბატონს ირაკლის ასუნაზირ — ალი-ხანს, რომელსაც აღზდა რუსეთში მიეღო და ისპანში 14 წელიწადი დაეყო. გიორგიმ უგმაყოფილება გამოაცხადა და ტაჰას ავიდა. ირაკლი თბილისში დაჯდა. ირაკლი, ვასუტის სიტყვით, იყო ქართლისა და წესთა საქართველასთა უცნობელი და შეიფობისა გამოუცდიელი; უშეერთა მოუბარი; სმისა და შეება-ღსინთა მოყვარე; მტირკდთა ყურის-მიმპურობი და დიდთა დამამდაბლებელი. ირაკლიმ დაამცირა ერთგულნი გიორგი მეფისანი, ზოგთა მიუსუნა მამულნი და აღამაღლნა კასნი და მისცნა მათ მამულნი მათნი. ირაკლიმ დასხნა თვი-სნივე კათოლიკოსად და მთავარ-ეპისკოპოსებად; დაადგინნა თვისნივე კარის-გამკედ, მსაჯულთ-უსუცესად და ვეზირად; მათ მიანდო საქმენი ყოველნი ქვეყნისანი და თვით მარადის იშეებდა, ინარებდა და ნადირობდა». გიორგიმ ქართლით აუტეხა ირაკლის ბრძოლა, რომელმაც მონაწილედ აწინილის გარდა ვასტანგსაც ვსუდავთ, მაგრამ ირაკლიმ იმას სპარსეთის ჯარის შემწეობით სძლია. ლევანის შვილმა ქაიხოსრომ და იმის შემდეგ თვით გიორგიმ ყეენთან სლება ირჩიეს. ამ დროს ვასტანგი იყო 15—20 წლის უმაწილი კაცი. ის შეუეულდა რუსუდანს, ჩეჩქე-ბატონის ასულს, რომლის შვიც აჯილ-გირკი

შემდეგ გასტანგს რუსეთს გადაჭყვა და იქ დაესახლა. მისდელი თავი-
 სის მამის საუფლის-წულოისა, გასტანგი დაიარკობდა აქა-იქ და უფ-
 რთ იმერეთში ცხოვრობდა. გასტანგი ემსახურებოდა რუსეთს, მაგრამ
 იმ დროს გიორგი მეფის და გასტანგის მამის მოღვაწეობამ ქირმანში
 დაუბრუნა იმათ ყეენის მოწესალება. ეს მოღვაწეობა დაიღ ღირსია
 ყურადღებისა. სპარსეთს აუშაფენ ბელუჯნი და ავღანნი. ჩვენი წყა-
 რების ცნობით, აისინი აზბუკდენ სპარსეთს ქირმანით იაზღამდე
 და რადენ გზისცა წარავლინის ყეენმან სპანი და სარდალი, მარადის
 იგინი მძლე ექმნებოდან მათ. ამისთვის აიძულებდა ყეენი გიორგი
 მეფეს, რათა განაგოს მან საქმე ესე და მიანიჭოს მას კვალად ქარს
 თლი. შემოიკრიბნა გიორგიმ სპანი ქირმანისანი და ქართველნი მის-
 თანა; ვლელ უდაბნო ძნელი და უწყელ, და მიეწია მათ. მხილველნი იგი
 განმაგრდენ ვლდე-გორათა ზედა. მაშინ განუღ გიორგიმ სპანი თვის
 სნი: ერთ კერძოდ ლევან მძა თვისი და ქართველნი, და ერთ კერძოდ
 ქირმანელნი და თვითცა ერთ კერძ მიეტევენ ფიცსელად და შეუბდენ
 ქართველნი ბანავთა მათთა და შემუსრეს იგინი და მოსწევიდენ სრუ-
 ლად, და მოიქცა მეფე ქირმანს. ამის წილ ყეენმან მიანიჭა მას ნი-
 ჭნი ურიცხვნი და ლეონს მისცა მსაჯულთ-უსუტესობა ერანისა, და
 ქაინოსროს ტარულაბა ისპანისა და მოუწოდა ლევანს წინაშე თვისსა
 ისპანს. მაშინ აუწია გიორგიმ ყეენსა ძმისა თვისისა ლევანისაგამო,
 რამეთუ მწიკ ახლო ძე ჩვენი გასტანგ იმერეთს, და უკეთუ არა რა
 ეუოს მას შეწევან ჩვენ მიერ, წარვაღსო იგი რუსეთსა. ასე ანუ ამის
 თანხმად გვიამბობენ ვასუშტი და სხვანი თანამედროენი მწერალნი,
 რთგორათაც ქართველნი, აგრეთვე უცხო-ტომნი, იმათ შორის კრუ-
 შინსკი და ჭანკვი. შაჰმა გიორგის თხოვნით მიუწერა ირავლი მეფეს,
 რათა მოიყვანოს გასტანგ ქართლს და მისცეს მას უოკვლი საუფ-
 ლის წულონი მამისა თვისისა ლევანისანი. შაჰმა თვით ირავლი ის-

ჰანს მიხსო, ქართლი ისეკ გიორგის დაუშვიდრა და ვიდრე გიორ-
 გი დაბრუნდებოდა ქართლის განმკედ ვასტანგი დანიშნა. ეს იყო
 1703 წელს. «ვასტანგი იყო—იტყვიან ვასუშტი და სესნია ჩსიძე—
 მშენიერი, ჭაბრკიანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი, არამედ ჟამთა მრ-
 ხსანეს; სამღვდელთა პატრიარქ-მცემელი, ჭკრივ-ობოლთა და გლ-
 ხაკთა მიმცემი; კვლავსათა მამულებელი. ვასტანგმა განაასლა, სსვათა
 შორის, თბილისის ხილნის გუმბათი, შეამკო სვეტის-ცხოველი, აღ-
 მართა ურბნისის ზღუდე, გასჭრა არხები ნასიდურში, ფალაღისში,
 ლისში, ყარაიაში, და აქ თვით სოფლებიც გაანინა; გააშენა უდაბურს
 ადგილში დაბა სუნანი; ააშენა თბილისში მშენიერი სასახლე და შე-
 ამკო იგი. თუმცა ვასტანგ იყო გამკე, მაგრამ მეფედ თუქმე ისეკ-
 ნებოდა. ვასტანგმა აღაშენა და განავსო ქართლი, რამეთუ რომელნი-
 ცა ჟამსა ირავლი მეფისასა შთასრულ იყვნენ ვასტანგ ქართველნი, იმან
 ბრძანებითა ყეენისათა გამოიყვანა ყოველნი და დასსნა თვისთავე ად-
 გილთაზედა. აღარ იყო ტყვის გასყიდვა. ნაზარ-აღისანი, ვითარცა
 რომსტომ მეფე მრავალ-გზის წარუგდინებდა ყეენსა ტყვეთა, სოლო
 ვასტანგ უკეთუ არა მოითხოვდა ყეენი არა წარუგდინებდა, მასცა უმე-
 ტეს მოყიდულთა. ვასტანგმა განაწესა სპანი რომითა მტკვლად თვი-
 სად.» იმან მოიყვანა გლასეთით მესტამბე, გამოაღო სტამბა, განამრ-
 ვლა სამღთო წერილი. ამ დროს პირველად დაიბეჭდა ქართულს ენაზე ბი-
 ბლია ანუ დაბადება. სტამბა მოქმედებდა მსოლოდ ვიდრე ვასტანგი
 საქართველოში იმყოფებოდა და იმის შემდეგ ვი გაუქმდა ირავლი მე-
 რის დრომდე. ვასტანგი სსვა შრომასაც შეუდგა. ეს არის სამოქა-
 ლაქო კანონი, რომელიც ვასტანგის სჯულად იწოდება, რომელიც
 იმის დროდამდე სასულ-მმღვანელად დაიდო საქართველოში და ჩვე-
 ნამდე სმარებაში იყო. ჩსიძის მოხსენებით, ვასტანგმა «განაინა რა
 წიგნი სამართლისა, თხზუბათსა და პარასკევსა დაჟდის სამღივნოსა

სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა». ვი-
ფის შემწეობით, საიღამ და რა განზრახვით შეუდგენია ვახტანგს სჯულ-
დება, ამას ის თვითვე მოგვითხრობს შესავალში. «ნუჩავინ ჭკანებთ-
იტყვის ის—რომ ჩვენ მხლელად თავით ჩვენით რასამე ვუფუდეთ,
ჩამედ თანა უფლით დამოწმობითა მღვდელთ—მთავრისა დიდისა
დედა-ქალაქისა მცხეთისა ძმისა ჩვენისა კათალიკოზის დომენტიისითა,
აგრეთვე თანა-დგომითა ერისთავთა, მთავარ-ეპისკოპოსთა, წინამძ-
ღვართა და ვითხოვთა ჭკვათა მუფუელთა და მოხუცებულთა კაცთათა
გავჩინეთ და დავსწერეთ რომელსა მივსწვდით და ან გრანებანი ჩვენნი
სამართალსა მიჭსკდენი». ადგილობრავ სჯულ-დებათ გარდა, რომელ-
ნიც ძველადვე ჩვეულებად უფოფილან სსქართველთაში მიღებულნი, ვახ-
ტანგს ჩაურთავს თავისს განზრახვით «მოსეს მიერ ქმნილნი სამართალნი
და კვლად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდამოთარგმნილნი,
აგრეთვე კათალიკოზისა და მეფისა გიორგისა და ბექას სამართლები»
ქართლი უფოფილა—განაგრძნობს ვახტანგი—უფოფილათა კეთილითა შემ-
კულ და შესაკებულთ, ხალხ ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ყაბ-
თათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ ვიე-
თნიმე მოყვსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მიდრეკებით,
ვიეთნიმე ღვთისა ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამისა-
თა. მეფენი ბევრჯელ დიდად ამადღებულნი და ბევრჯელ ყაბთა და
დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ღადენ სასულიდა რქმე-
ვათ. რაგორც ყაბთ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიტე-
ბიათ. ამისი მომსწრენი მეცა ვარ და სხვანიცა მჩავალნი. აწ ამისთვის
ვიწყეთ, თუ მეფეს მეფობა შეეძლას ქნას, თუ არა მეფობის უქნე-
ბლობა სჯობს და სელის აღება»... ვახტანგის სამართალი და იმი-
სივე «დასტულამალი, რომელიც, რაგორც ივიწრობენ, ამ დროსკვა
შეადგენილი, სპარსეთის სასელმწიფო დავთრების მიხედვით 1), შვი-

1) Chardin, Voyage en Perse, t V p. 436.

ცავს მთელს სურათს საქართველოს განმეობისას «დასტულამალი» უჩვენებს ყოველ-გვარს შემოსავალს საქართველოს შეფუებისას, შემოსავალს და ჯამაგირს სასელმწიფო მოსულებებისას, აკრეთვე რა გვარნი მუერნობის წესი ყოფილა ჩვენში, და დამოკიდებულება ქონიათ სამეფო სასლის მოსულებს სასელმწიფო უმთავრესს მოსულებთან. — ჩვენ არ ვიცით დეტემდარიტებით, რა დროს არის შედგენილი ვასტანგის ქართლის-ცხოვრება». ჩვენ ვიფიქრობთ, რომ ის იმავე დროს უნდა ეკუთნოდეს, რა დროსაც ეკუთნის «სამართალი». ქართლის-ცხოვრების» წინა-სიტყვაობა იტყვის: «პატროსანნა და დიდებულნა ქართველნა, უძათა ვითარებისგან ქართლის-ცხოვრება» განწყენილიყო, რომელიმე შწრალთა მიერ და რომელიმე უძათა ვითარებისგან არღარა წერებულ იყო; ხოლო ვასტანგმან, ძემან ლეონისამან და ძმის-წულმან სასელვანის გიორგისამან შეკრიბნა მუცნიენნი ვაჭნი და მოისვნა საცა რამ ქართლის-ცხოვრებაები ზოგნა, და კვლად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განწყენილ იყო, განმართეს, და სხვაცა წერილნი მოისვნეს, რომელიმე ხომესთა და სხვასთა ცხოვრებისგან გამოსვენეს და ესრეთ აღაწერიეს». მართლა და ჩვენ ვიცით, რომ ძველადვე ყოფილა საქართველოში სხვა და სხვა ქართლის-ცხოვრებაები, საიდაცა შემდგარა ვასტანგის ქართლის-ცხოვრება». იქ, სადაც ვასტანგს დაუსრულებია, იმისს სასელვანს ძეს ვასუშტის მიუყვია ხელი და განუგძია.

დიდს განცვიფრებაში მოკუევართ ყოველსავე ზემოდ მოსსენებულს ვასტანგის შრომას. სად ქონდა იმას მოსვენება და დრო! ჩვენ ვნახეთ, რომ მთელი საქართველო შეიარაღებული იყო: შინაური აღრულებია, ერთი-ერთმანეთთან და გარეშე მტერთან ბრძოლა არა სწყუბოდა. მაგრამ ამ გვარნი საქართველოს მდგომარეობა არა თუ არახსებტებდა, არამედ უფრო და უფრო აღვიძებდა ვასტანგის მღლად მი-

ნიჭებულს გონებას და მზრუნველობას მამულისადმი. ნუდა ვივიწებოთ, რომ იმას სსვა მრავალ-გვარი უბედურებაც სდევნიდა. 1709 წელს, 21 აპრილს, უზნაარში ძირ-გვისმა ვასტანგს ბიძა გიორგი მოუკლა და იმასთან მეოთხნი ქართველნი ამოუწვიტა. იმავე წელს, 13 ივლისს, ისპანში მიიგვალა ვასტანგის მამა ლევანი. უფროსი ძმა ვასტანგისა ქაინოსრო შეიქნა სპარსეთის სპასალარად, რომელსაც ვასტანგმა ძირ-გვისთან საბრძოლად გაუგზავნა აღრჩეულნი მსედარნი. ქაინოსრომ თავ-დაპირველად, 1710 წელს, ძირ-გვისს სძლია, ძმა და ძმის-წული მო-უკლა. შემდეგ სპა-მისუსტებული მუცლის სენისაგან და საკუთარის ძმის იასეს ღალატისაგან, ის იძლია: ჯერ მოკლულიქნა იმისი ძმის-წული, არჩილის შვილი ალექსანდრე, შემდეგ, 26 ოკტომბერს 1711 წ. თვით ქაინოსროც. ნაღვლით სავსემ და მწუხარე ვასტანგმა სპარსეთს წასულა განიზრახა. ამ შემთხვევას სსვა მიზუნიც დაერთო: სპარსეთის შაჰი უკმაყოფილო იყო ვასტანგზე იმისგამო, რომ ის ცდილობდა საქართველოში ქართველების ამაღლებას და სპარსების დამცირებას. საქართველოში მეოთხნი სპარსნი ვასტანგს შაჰთან ასმენდნენ. ვასტანგმა ნება მოითხოვა შაჰთან ხლებისა. მოვიდა მეჭმანდარი მიმწოდებუ-ლი. ვასტანგმა ცოლ-შვილი გორს დასტოვა, ქართლის განმკეობა თავისს ძმას სვიმონს მიანდო და 22 აპრილს 1712 წელს გაემგზა-ვრა: თან-ახლდნენ დარბაისელები, მცირედნი და დიდნი, რიცხვით, ჩხე-იძის თქმით 300-მდე, ვრუზინსკის მოწმობით 3 ათასამდე. იმით შო-რის თვით სესნია ჩხეიძე. ჩავედით ისპანს—მოგვიტოვრობს ჩხეიძე—დასვდა ხემწიფე მხარეულად. მეორესა დღესა უყო მეჯლიში, დაჯდა ნადიმად, სკეს ხეთსა საათსა, უბოძა თასი მუჩასა, წამოკედით მნი-არეულად, შეგვექნა სიმხიარულე, ვიყავით განსვენებას და ღსინსა ში-განს. ვანუშტი იტყვიან; შემსრული წინაშე ყეენისა ვასტანგი პატოვ-ცემულ—იქმნა დიდითა პატოვითა და შეყვარებულ ფრინად სიკეთისა

მისისათვის და უთქმიადა მასმადიანობასა და უქადებდა ნიჭსა დიდსა და მსწრაფელ გამტკეპებსა. ანამედ მან ანა თავს-იდგა, მეტყველმან: «მე მოკვდ, რათა ანა დამართონ მტერთა და შეიწყეს ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მასმადიანნი და რომელი გნებავს წარავლინე და მე კეყო წინაშე შენსა». მამინ ინება ყეენმან წარმოვლინება ვასტანგისა სჯუღითა თვისითა. ანამედ ანა აუფუნეს ომართა, განზრახთა თვისთა და არცა ინება იასემ ნებითა ვასტანგისათა წარმოესვლა. იასე ანა დასცხრა. იასემ აღუდგინა ძმისა თვისისა ვასტანგისა თბილისის გუშაგნი და შესმენდნენ ყეენსა დაწვისა ყოჩანისისა და სხვითა მრავლითა უჯუროთა მასმადიანთა ზედა. ამისთვის მოგზავნა ყეენმან ხოლოფა თბილისს, რათა სცნას, რა ბოროტი უქმნიეს მასმადიანთა ზედა ვასტანგს. ანამედ იდუმალ ამცნეს ხოლოფას, უკეთუ იცეს ყამი, დაიბურჩას ქართლი და სვიძონ მუნ წარავლინოს. ხოლოფასთან შეიზრახნეს სვიძონ და მთავარნი ქართლისანი ვასტანგის ბოროტსაზედა, რამეთუ რაყამს დაიბურჩა ვასტანგ ოვსეთი და განიწყო მტკეულნი თვისნი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაბურჩობისთვის. ამისთვის მოუწერეს ყეენსა: «ანა გგნებავს ვასტანგ, ანამედ მოგვივლინე იესე». ხოლო ყეენსა რა ესმა ვასტანგისათვის ესენი აღუძნდა და ანა ინება იგრეთ. ანამედ ომართავან იძულებულმან წარმოავლინა იესე მეფედ ქართლისად ნიჭითა, ვინაღან აღეთქვა იესეს ყეენისათვის წარვლინებად დედოფალი და ძენი ვასტანგისანი და სუთანნი ქართველნი ცოლ-შვილით, რათა დასასაღოს ოვარბათს». 1714 წელს იასე თბილისში მეფედ დაჯდა, აღი-ყუღისანად წოდებულნი და ოვრიად მიქცეული მასმადიანობისაზედა. მდიდარი და ამჟი მშვებელი და გამცხრომელი უწოესებითა ყრმითა თანა და უგებნათა მღერათა. გარნა მქცევი დიდებულად წაგვარა ცოლი დედის ბიძისა თვისისა ქაინოსროს ამირეჯიბს ბუბის ძმის-წული თვისი და

შეერთო თვით ცოლად. ამხილეს კათალიკოს-ეპისკოპოსთა და უმეტეს იოანე სააკაძემ გარეჯის ბერთუბნის მამამან, კაცმან ღივსმან. აჩაბედ მან აჩა უსმინა მეტყუელმან:» ვარ მე მაჭმადიან, ესრეთ ჯერ აჩას ჩემდა». ამ უმად ჭარულებმა გამოკლეს კასეთი, მოვიდნენ სუნანს, მოსწუვიტნეს და მოსტუვეკნეს დაბნები. იასემ ვერ შეასრულა — განაგრძნობს ვასუშტი — დაკედრებულე ეეენისა. მასინ მოიყვანა ეეენმან ვასტანგ, მისცა ქართლი და სპასალარობა ერანისა, და მიაქციეს 1716 წ. სჯულსა მათსა, და წარმოკლინეს თავრიზს, რათა წარკვლინოს სპანი ზოცასანს და მოსტეს განმტეობა ქართლისა ბაქას, ქესა მისსა. ბაქარი იმერეთიდან მცხეთას გადამოვიდა, იასე კასეთს გავიდა. ბაქარმა ის კახ-ბატონს იმამ-გული-ხანს გამოხთხოვა, მაგრამ იმამ-გული-ხანმა უარი უთხრა. მასინ მაჭმა გავსავნა თავისი მერდარი, რომელმაც იასე შეიპყრო და ბაქარს ჩაბაძა; ბაქარმაც ის დაატუსადა თბილისის სასახლეში. ეს ამბავი მოხდა 1716 წელს. ბაქარი მიაქციეს მაჭმადის სჯულსე, თუძცა, ვასუშტის თქმით, სიტუკით და აჩა საქმით. ბაქარის დროს ჩამოიკრიფნენ დაღისტნიდან დიდ-ძალნი ლეკნი, იმათ მიემსწნენ ჭარულნი, მოსტეს ქართულები და დატვირთულთ შთავლეს უარაია, სადაც მრავალი იმათ შორის სიტსე — უწყლობით ამოიხრცა. ამ დროს პირველად გამოჩნდა მოქმედ პირად ვასტანგის ქე ვასუშტი. ვასუშტი იყო უკანონო შვილი ვასტანგისა, თუძცა არ ვიცით ვინ ჭყვანდა იმას დედად. ბრახსეს შენიშვნით ვასუშტი უნდა იყოს დაბადებული XVII საუკ. ვასულს და რომელსაც სტენასე გამოვიდა, 15—20 წლისა უნდა ყოფილიყო. ვასუშტს შემდეგაც ვხედავთ სამხედრო ასპარეზსე. მაგრამ ის ამ მხრით არ არის ჩვენთვის შესანიშნავი. იმისის დაუცხრომელის მიდრეკილობის საგანი მეტნიერება იყო. ემაწვილობითვე ვასუშტს ისეთი სშირი დამოკიდებულება ჭქონდა კათოლიკის მისსიონერებთან თბილისში, რომ ისას გა-

თელიკობაც შესწამეს 1). ვახუშტმა ისეთი ღვაწლი მიაგო მთელს საქართველოს, რომელსაც ჩვენს ენაზე მხოლოდ იმისის მამის ვახტანგის შრომა უდრის. ეს არის იმისი წარწინებული «საქართველოს გეოგრაფია» კარტებით, და «საქართველოს ისტორია», რომელიც აქ ადგილ-ადგილ სელთამძღვანეულად გვაქვს. ერთი ცნობა მოიხსენებს, ვითამც ვახუშტს თავისი ისტორია რომში შეედგინოს 2). ჩვენ არ ვიცით, მართლაც თუ არა ეს ცნობა. არც ის ვიცით იუა თუ არა ოდესმე ვახუშტი რომში. ეს გი უეჭველად, რომ ვახუშტს «საქართველოს ისტორია» «გეოგრაფიით», რომელიც თვით «ისტორიის ნაწილს შეადგენს დაუსრულებია 1745 წელს მოსკოვში, სადაც ის დამკვიდრებულია შემდეგ იმისის სასწაობის გადასვლისა რუსეთს და სადაც 1770 წ. გარდაცვლილა.

ვახტანგი დაბრუნდა 1719 წელს ქართლს სპარსეთიდან. სპარსეთის იმან დაჯერა რვა წელი. აქ იმან ეს დრო უნაყოფოთ არ გაუტარებია. ვახტანგს ისპანში უთარგმნია ქართულად სპარსული ისიჯი, ანუ წიგნი ვარსკვლავთ — მრიცსველობისა და ცის-ქმნულებისა, რომელიც თვით იმან 1721 წელს თავისს სტამბაში თბილისში დაუბეჭდია. გარდა ამისა ვახტანგს უთარგმნია ქირიანში სპარსული დამკვიდრებულია და დამანა, რომელიც უფრო ანკარი — სოჭაილად იცნობება. ამ წიგნის ქართულს თარგმანში პრინც ეკუთვნის ვახტანგს, ლექსი სულსან-საბა-ობედიანს. ქილილა და დამანა შეიცავს ზღაპრით კრებას და იმითი დირსი ყურადღებისა, რომ ის სპარსეთში სულ პირველად შემოუტანიათ ინდოეთიდან მეექვსეს სუგუნეში, უთარგმნიათ მრავალს აზიურს და ევროპიულს ენებზე და თვით ქართულად გადმოუღიათ ბევრით ადრე ვახტანგზე, ესე იგი თამარ დედოფლის დროს 3). — რაც რომ

1) Wakhoucht, Géogr. de la Geor. p. IV.

2) Journ. Asiatique, 1832, avril, 453 n. 3.

3) Chardin, Voyage en Perse, X, p. 149. Hist. de la Géor. I, p. 595 n. 3; II, p. livr. 1, p. 112 n.

ზემოდ ვასტანგის ყოფნაზე სპასკეთში ცნობები ვუჩვენეთ ჩვენის წყაროებიდან, იმას უცნო-ტომთ მწერალნიც ვმეწამებენ. აი რას ამბობს კათოლიკი კრუზინსკი, ვასტანგთან დიად დაახლოებული პირი. «როდესაც ვასტანგი წაწდგა სპასკეთის სასახლეში, ის პატივის-ცემით მიიღეს, იმის ამაღას დღეში 50 თუმანი დაუწესეს, თვით იმას მოსთხოვეს, რომ მაჭმადიანობა მიიღეს, თუ მეფობა ვსურს. ვასტანგმა ტასტის უაჩის ყოფა იჩინა. მაგრამ თვით იმისს სახლის-წვერთ შესმენით ის გაისტუმრეს, თუცა პატივით, ქირმანს. ვასტანგის მძინ-წულმა 1), საქართველს პატრიარქმა, ისურვა ცალის შერთვა და მაჭმადის სჯულის მიღება, მაგრამ იმისმა მამამ, ახანის მსაჯულთ-უხუცესმა და საწმინდოებით მუსულმანმა, რომელიც შემდეგ მტირქედის უძმის კათოლიკად აღესრულა 2), აღმოჩვენა იმას ეს წადილი მკაცრის ცემით. ვასტანგის უმცროსი ძმა ასე მაჭმადიანი შეიქნა და ქართლის მეფედ დაჯდა. მათის წლის შემდეგ ვასტანგი ეკსორჩი-დამ დახრუნეს იმ განზრახვით, რომ ის თავისის ქართველობით ავგანებს შეჭმომელებიყა. ვასტანგმა ჯერ უარი ვყო ქრისტეს სჯულის დატოვებისა, თუცა იმას ვსურდა ბერძნის აღსარების შეცვლა. ამ განზრახვით იმან ვგვსახნა ერთი ხანდო პირი, ბარონი ვლინსბარ ბითონი, სომხის კათოლიკი მამა ბარბარე თუდელთან მიღანში, რომელსაც სთხოვა შემწეობის მოხმარება აღსრულებაში მოყვანისთვის იმისის სურვილისა. ვასტანგს უნდოდა კათოლიკობა მიეღო კრუზინსკის სჯუთ. მაგრამ მისმული სასახლეში, შემთხვევის მოთხოვნილებით ვამაჭმადიანდა და წინა-დაიდგუთა. მაშინ ვასტანგს მიანდეს ვანმეობა თაყრისისა და სპასალარობა იჩინისა; ამასთანავე უბძანეს, რომ ავგა-

1) საქართველოს კათალიკოზი ღომენტი იყო მასტანგის ძმა და არა მძინ-წული.

2) კრუზინსკი აქ მონიხროს მოიხსენებს.

ნებთან სამხრდ მომზადებულყო. დიდხანს აღარ გაუგლია, როდესაც დიდ-კაცთ შუქის-ძიებას მიჰსადა ვასტანგს სპასალარობა, ის გაისტუმრეს საქართველს. ერევანში იმან გამეფცხადა, ერთს ლამის საუბარში ვრუზინსკის, რომ თუმიცა გვამით მუსულმანი ვარ, მაგრამ სულთ ისევე ქრისტიანი ვარა 1). ზოგერთს ვრუზინსკის ცნობას თუმიცა არც ვასუშტი, არც ჩხეიძე არ იხსენებენ, მაგრამ სულხან-საბა-ორბელიანი ვი ჰქმომობს, მაგალითად დომენტი კათალიკოზის განზრახვას მანქანდინობის მიღებისას. საბა იმასაც დაურთავს, რომ დომენტი სპარსეთის მოფლობელისაგან ქართლის ტახტს ითხოვდა 2). გარდა ამისა საბა გვიამბობს ვასტანგის მიდრეკილობას კათოლიკის აღსარებისადმი. ამასვე ამტკიცებს ვასტანგის მიწერ-მოწერა ლუდოვიკ მე XIV სთან. ეს მიწერ-მოწერა პირველად აღმოჩენილა ზარიყის უცხო-ქვეყნის სამინისტრო არსიგში, სადაც ის გარდაუცნა ვასტანგის შთამომავალს მეოთხე თაობაში, ფრანციის ჰესს, ალექსი სენ-პრიეს, რომლის მამასაც, დიდ ჩნობილს ფრანციუსის ელჩს ვასტანტინეზოლში ცოლად ჰყოლია კიაყსა გალიციისისა, შვილის-შვილი ვასტანგის ბიძის გიორგისა. ვასტანგის მიწერ-მოწერა დაუბეჭდია უ. ბრესსეს 1832 წელს ფრანციზულს Journal Asiatique, ვასტანგის შუამავლად ლუდოვიკთან ყოფილა იმისი ბიძა სულხან-საბა-ორბელიანი, დიდ ღირსსაწნობელი როგორათაც თავისის კავშირით რომის მისიონერებთან, აგრეთვე თავისის ლექსიგონით და სხვა მიწერლობით. სულხან-საბა ვასტანგის მინდობით გასულა ევროპაში, სადაც 1713 წ. კათოლიკის მღვდელს რიშანს გაჰყოლია და სადაც კათოლიკის აღსარება მიუღია სან-ბაზილის მონასტერში და ბერათაც შემდგარა; მასუკან რომით ზარიყი შესულა 1714 წლის დამდეგს. აქ იმას მიუერთოვია კაროლისთვის ვასტანგის პასუხი ლუდოვიკის წერილზე, რომელსედაც ჩვენ ცნობა არა გვაქვს. ვასტანგი თავისს პასუხში ლუდოვიკს ულოცავს იმისს 1702—1706 გამარჯვების გერმანიაში, იტალიაში და ინჰანიაში, და ამასთანავე უჩივის საქართველს მდგომარე-

1) Hist. de la Géor. II, livr I, p. 109 n. 1.

2) Journal Asiatique. 1832, avr. 451.

ობას. სულხან-საბა ორჯულ წამდგარა კაროლთან მაისში, 1714 წ. დაბრუნებულა რომს იმავე წელს, ივლისში, მოსულა კონსტანტინეპოლს 30 სექტემბერს 1715 წელს. აქ ის ფრანციის ელჩის დუნალერის მოაზრებობას ქვეშ ერთი წელიწადი დაჩინილს და შემდეგ შემოსულს საქართველოში, სადაც მოჭყოლიან თორმეტი მისსიონერი გაზრდინება, საბას წერილებიდან ფრანციის მინისტრთან ზანშა-ტრენტანს ცხადად სჩანს მაშინდელი ჩვენის ქვეყნის მდგომარეობაც და ვასტანგის გულის წადილიც. საბა ითხოვს, რომ ფრანციის შემწეობით ვასტანგი სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნდეს. «თუ დაბრუნდება — სწერს საბა — ქართველნი არა თუ დაიმარხვენ ქრისტეს სჯულს, არამედ კათოლიკის აღსარებასაც შეუერთდებიანო, თავანთის ძეგის მაგალითით, რომელიც ამისთვის მომზადებულიაო. ვასტანგს სსკა განზრახვაცა აქვსო. იმას ჭსურსო მისსიონერებს ღონისძიება მისცესო, რომ იმათ საქართველოს მოსაზღვრე ჩერქეზნი ქრისტეს საწმუნებავსე მოიყვანონო. საბა იმ იმედსაც აძლევს ზანშანტრენტს, რომ ვასტანგი სასასლეს შეუმზადებსო თბილისში ფრანციის კონსულს; რომ ის უშიშრობას მოაკებსო ფრანციის სავაჭრო, საქონელს, რომელიც ფრანციიდან საქართველოთ სპარსეთში ივლისო და სპარსეთიდან ფრანციაში, რომ ის ამ სავაჭროს თავისის სარჯით გაიტანსო სპარსეთის საზღვრიდან შავ-ზღვამდე და შავის-ზღვიდან სპარსეთის საზღვრამდე; რომ ის მაგაზინებს გააჩენსო შავის-ზღვის ზიხად სამეგრელოში და თავისის სამფლობელოში; რომ ის ღონისძიებას მისცემსო ადებ მიმცემს ფრანცურებს, რომ სავაჭროები შეიტანონო ჩერქეზეთში და საქართველოს მხარეებში; რომ რაც საჭიროა ადებ-მიცემობისთვის და ფრანციისათვის, და რაც კი შესაძლებელი საქმე იქნებაო, ყოველსავე ამას ვასტანგი აღსრულებაში მოიყვანსო.

დამიტრი ბაქრაძე.

1872 წელს, 7 მაისი.

(დასასრული იქნება).